

ნიანგი

16 (1266) თბილისი, აგვისტო 1967
გამოცემის 41-ე წელი ფასი 20 კაპ.

ნახ. ჯ. ლოლუასი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დავდივარ, დავეძებ!..

ვცხოვრობ ზესტაფონის რაიონის დაბა შორაპანში, ვარ ვარლამ ნოეს ძე სარალიძე. დიდ ბოდიშს კი ვიხდი, მაგრამ ძაღლის თაობაზე გაწუხებთ.

ერთი სიტყვით, დავკარგე ესპანური ჯიშის, ფრინველზე მონადირე ძაღლი და, ორწლინახევრის ძებნის შემდეგ, სოფ. თვრინში კუკური მიხეილის ძე ჩინჩალაძესთან ვიპოვნე. ვიპოვნე და ნეტა არ მეპოვნა! დაიწყო ჩემი ტანჯვა და ისე გამიძაღლდა ცხოვრება, რომ ახლა, მგონი, ყველაზე უბედური ძაღლიც კი ჩემზე ბედნიერია.

კუკურიმ ნებით არ მომცა ჩემი ძაღლი. სამჯერ მივმართე საქართველოს მონკავშირის გამგეობის პრეზიდიუმს, მივმართე ზესტაფონის რაიაღმასკომს. რაიაღმასკომმა საქმე გადაუგზავნა მილიციას, მილიციამ — რაიმონკავშირს და, როგორც იქნა, შეიკრა წრე. რაიმონკავშირმა იკადრა და დაიწყო საქმის გამოძიება.

1965 წლის 4 მაისს ზესტაფონის რაიონის მონკავშირთან არსებულმა ამხანაგურმა სასამართლომ საძიებელი ძაღლი მომაკუთვნა მე, კუკურიმ არ სცნო დადგენილება და ამხანაგურმა სასამართლომ საქმე სახალხო სასამართლოს გადასცა. სახალხო სასამართლომ დაადასტურა ამხანაგური სასამართლოს დადგენილება და დაავალა აღმასრულებელ ლუტიძეს მისი აღსრულება. ლუტიძემ მე მთხოვა დახმარება, მე — მილიციას; მილიციამ, ძაღლის პასპორტში მცირე უზუსტობის გამო, გააუქმა სახალხო სასამართლოს დადგენილება და ჩემი ძაღლი კუკური ჩინჩალაძეს მიაკუთვნა.

ჩემი განცხადება საქ. სსრ უმაღლეს სასამართლოს გადაეგზავნა. იქიდან — ზესტაფონის სახალხო სასამართლოს. სასამართლოდან მოვიდა პასუხი: ამხანაგური სასამართლო შეცდა და ძაღლი ჩინჩალაძეს ეკუთვნისო, მაგრამ მეც ვიცი ინსტანციების არსებობა. განცხადება საქ. სსრ უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმში ვაფრინე. პრეზიდიუმმა ჩემი განცხადება გადმოუგზავნა ზესტაფონის რაიონის პროკურორს. პროკურორმა ჩინჩალაძის კუთვნილი ძაღლის ლეკვი შემომთავაზა. მე უარი ვთქვი: მხოლოდ ძაღლი და არავითარი ლეკვი-მეთქი!

1965 წლის 18 მარტს განმეორებით მივმართე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს. პრეზიდიუმმა განცხადება გადაუგზავნა ზესტაფონის რაიაღმასკომის თავმჯდომარეს. რაიაღმასკომის თავმჯდომარემ იძია, იძია და საქმე ამხანაგურ სასამართლოს გადასცა. ამხანაგურმა სასამართლომ ხელმეორედ მომაკუთვნა ჩემი კუთვნილი ძაღლი, მაგრამ გამოირკვა, რომ ძაღლის ღირებულება აღემატება 50 მანეთს და ამიტომ საქმე სახალხო სასამართლომ უნდა გაარჩიოს.

ძაღლის დაკარგვიდან ორ წელზე მეტი გავიდა. ახლა თუ ყველაფერი თავიდან დაიწყო, ერთი ამდენი ალბათ კიდევ გაივლის და ...ერთმა ჭკვიანმა კაცმა მითხრა: შენი საშველი მანამ არ იქნება, სანამ ძაღლი თვითონ არ გიცნობს და სასამართლოზე კისერზე არ ჩამოგეკიდებაო.

არ ვიცი, ამ ინსტანციებში ჩივილის მეორე ნაკადის დამთავრებამდე იცოცხლებს თუ არა ჩემი ძაღლი. ახლა ერთი თხოვნა მაქვს: თუ არ იცოცხლა, მკვდარი მაინც მომაკუთვნონ ჩემი ძაღლი, რომ მე დავმარხო.

ვარლამ სარალიძე

კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ

(საგაზეთო ქრონიკის მიხედვით)

— მოდი, დღეს გავტეხოთ 26 კომისრის რაიონში ნაკრძალის ქ. № 6, ბინა 14, ტელეფონი 04-16-17, მცხოვრების, „საქმინხილწყლის" მესამე ტრესტის მეხუთე კანტორის თანამშრომლის, მოქალაქე რაჟდენ იპოს ძე ფცქიალაძის ბინა და ქალაქ რიგაში, კაუნასის ქ. № 3, ბინა 35-ში მცხოვრების, მოქალაქე იგნას ვიძაუსკასისგან შარშანწინ შეძენილი სერვიზი მოვპაროთ, ოღონდ „საქმეში" დავიხმაროთ გაურკვეველი პროფესიის მქონე შვიდჯერ უკვე ნასამართლევი, ორჯონიკიძის რაიონში, წილკანის ქ. № 20-ში მცხოვრები თენგიზ ბუდუს ძე ბუცხრიკიძე და სამ ცოლს გაყრილი, მექრთამეობაში შენიშნული, ოქტომბრის რაიონში, მლეთის ქ. № 847-ში მცხოვრები, „საქმოტორკავეულის" საბარგო მანქანის მძღოლი, თავზეხელაღებული ზაურ დიმიტრის ძე შალიკაშვილი, — უთხრა პლეხანოვის პროსპექტი № 1766, ბინა 89-ში მცხოვრებმა, არამზადა და გარეწარმა გარუნ რობერტის ძე დიღმელაშვილმა მასავით ხელიდან წასულს, საქ. სას. სამ. ინსტიტუტის მევენახეობა-მეღვინეობის ფაკულტეტის I კურსის სტუდენტს, მცხოვრებს დიღმის მასივი, V კვარტალი, IV კორპუსი, ბინა 999-ში, ლერი ლეონის ძე პამბახჩიშვილს.

— გავტეხოთ! — უსირცხვილოდ უპასუხა ლ. პამბახჩიშვილმა და არყით სავსე ჭიქა გადაკრა.

უგრძნობლად მთვრალმა ამფსონებმა მოძებნეს თ. ბუცხრიკიძე და ზ. შალიკაშვილი, ტაქსი გააჩერეს და ნაკრძალის ქუჩისკენ გაექანნენ. მაგრამ წესრიგის დამცველ რაზმელთა ფხიზელ თვალს არ გამოეპარა ბოროტგანმზრახველთა ბნელი საქმეები. გ. დიღმელაშვილი, ლ. პამბახჩიშვილი, თ. ბუცხრიკიძე და ზ. შალიკაშვილი იმავე საღამოს დააკავეს.

არამზადები მალე წარსდგებიან სამსჯავროს წინაშე.

ამ-მგელაძე



— ვის უბედავთ შეურაცხყოფას!.. ახლავე უკან დაიბრუნეთ თქვენი სიტყვები!
— უკან არაფერს არ ვიბრუნებთ, მხოლოდ გამოცვლა შეგვიძლია!

ღია წერილი სახლმმართველობას

ახალ ბინაში შევედი
და შიშით ველარ ვიძინებ:
ჭერი დასკდა და ჩამოსკდა,
იატაკი კი ჭრიჭინებს...

კედლებს დაეტყო ბზარები,
მატულობს განხეთქილება.
ვერ დაამაგრეს კარები
ბეტონის მძიმე ფილებმა.

ხან გაზი გარბის, ხან — წყალი,
(არც ქვევით მიდის, არც ზევით)
მიტირის ცოლი საწყალი,
კანდიდატია გაქცევის...

სახლმმართველობავ, მოგმართავ
მუდარით, ოხვრით, კანკალით...
მარტო ჩემს ბინას ვინ ამბობს,
წაქცევაზეა კვარტალი...

ჯერ ჭერი მხურავს, კაცი ვარ,
გკითხავ, თუ გაიბედება:
ან სად ჭური ამდენ საჩივარს,
ან რა უჯრებში გეტევა?

რევაზ ოსეფაიშვილი

ახალი კუპლეტები ძველ თბილისურ მოტივებზე

თბილის-ქალაქს თართი მოაქვთ,
აბა დელია,
ტანი ეშმაკს წაუღია,
თავი ჩვენია.

* * *

თუნდაც მთელი ზღვა და ხმელი
შამაიარო,
უჭავლაბროდ ვერსად ნახოთ
შამაიაო.

* * *

ხამსა რაა, — დახლს დაეტყოს
უხამსობა, გაგონილა
ამნაირი უხამსობა?!

* * *

სად ხარ, ჩემო კალმახო, და
სად ხარ, ხრამულო?
წლიდან წლამდე ერთხელ მაინც
ჩაგახრამულო!

* * *

თუ გაქვს წარმოდგენილი,
რა დროს მოგდის ზარალი, —
სამუდამოდ დასწყევლე
თავგამხმარი ტარანი.
ველარც შარშან ვიგემე,
ვერ ვიგემე წლეულაც;
თვალიც მაგას დაუდგეს,
ნატვრისთვალად ქცეულა.

* * *

ძმებო, როცა მოვკვდები,
ნუ ჩამდებთ კუბოშია;
გამაყოლეთ იმ ტალღებს,
საცა ცურავს დოშია;
უწინ ამას ვჯავრობდი,
ახლაც ეს მაქვს საჯავრო:
ცოცხალმა თუ ვერ ვჭამე,
მკვდარი თვითონ შამჭამოს.

ოთარ შალამბერიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

კადრების შერჩევა

„ს ა დ გ ე ძ ე ბ ო, ს ა დ გ ი პ ო ვ ნ ო, მ ო ყ ვ ა რ ე ვ?“

ჩემი გვარი ქემოკლიძე გახლავთ, ხოლო დირექტორისა, რომელთანაც შესვლის ნება დამრთეს, — დოლიძე.

— რა გინდა? — მკითხა მან.

— სამუშაო, ბატონო!

— ჩოხატაურელი ხარ, ძამა?

— არა!

— ლანჩხუთელი?

— არა.

— მახარაძელი?

— არა!

— აბა, სადჯანდაბელი?

— რაჭველი.

— რაიო? რავა, გურული სულ არ ხარ თუ? აუუ, სადაა სამუშაო!

...ახლა სხვა ორგანიზაციას მივადექი. დირექტორი რომ ფეხზე ადგომით შემხვდა, იმედი მომეცა.

— რას გვიბრძანებთ? — თავაზიანად მკითხა კვარაცხელიამ.

— სამუშაო მინდა, ბატონო!

— წალენჯიხიდან ბრძანდებით, პატენი?

— არა.

— ზუგდიდიდან?

— არა, რაჭიდან გახლავართ!

— ოუ, ნანა! სამეგრელოსავით მიყვარს რაჭა! დიდი მუყაითი და პატიოსანი ხალხია რაჭაში. ტყუილს არ გეტყვიან, თუ გინდა თოფი ესროლო და ხმალი მოუქნიო. ლორი, ლორი და ხვანჭკარა, ა? ვყოფილვარ, ბევრჯერ ვყოფილვარ და დიდი პატივისცემა მიმიღია, მაგრამ, რა ვქნა

ახლა, ა? გადახდა არ შემიძლია და, თუ გინდა, ჩამომახრჩე, ჯიმა! რომ მქონდეს რაიმე სამუშაო და არ მიგიღო, ტყვია მკარი შუბლში!

მერე დირექტორ მხეიძესთან შევედი თხოვნით.

— ჰმ! სამუშაო, რა სათხოვნია, ძმაო! გარჯას გვპირდები, ნაცრის ქექვას ხომ არა, მაგრამ გვაქვს ვითამ რამეეე? ისე, ქუთაისიდან ბრძანდებით?

— არა.

— სამტრედიიდან?

— არა.

— ხონიდან?

— არა.



— ზესტაფონიდან?

— არა, რაჭიდან გახლავართ!

— რაჭიდან? ხოო! დოუტოვე მდივანს მისამართი, ზედმეტად რომ არ შეწუხდე და, თუ გამოჩნდა რაიმე, შეგატყობინებთ!

მოთმინებას ვიკრებ და დირექტორ თათრიაშვილთან მივდივარ.

— კარდანახიდანა ხარ?

— არა.

— გურჯაანიდანა?

— არა.

— თელავიდანა?

— არა.

— მა, სად ოხრობიდანა ხარ?

— რაჭიდან გახლავარ.

— რაჭიდანაო? ჰეჰ! ჯერა, თავი არ დამიფხანია და ესა ზურგიფხანასა მთხოვს! ბოდიში კია, რომა ბოდიშის მოხდა დამავიწყდა ზურგიხსენებითვინა!

რაჭველი კაცი ვარ, უეჭვო და უბოროტო... ამიტომ მოთმინების უკანასკნელი მარაგიც მოვიკრიბე და შევაღე ახალი კაბინეტის კარი. ამჯერად ბედმა გამიღიმა და დირექტორი კალმახელიძე აღმოჩნდა.

გამეცინა. გაეცინა მასაც და ალერსით მითხრა:



— ამბროლაურიდან ხარ, ჭი?

— ამბროლაურიდან ვარ, ჭი, ამბროლაურიდან.

იცოცხლე, იფეთქა სიხარულმა და ინჟინრისდიპლომიანი კაცი დაუყოვნებლივ გამაფორმეს ...მებუფეტედ.

თ. ჩარკვიანი

კეთილი მეზობლები

— პასიკო, თუ ქალი ხარ, დამთხუე შენი ინდაურები, თვარა, რაცხა ორი კილო სიმინდი ჩავყარე მიწაში, ამეილო ყველა და არაა მაგი ლამაზი!

— რა მოხდა, ანეტა, შე ქალო! არც მაგია ლამაზი, ორი კილო სიმინდიზა რომ შეაწუხე ყველაფერი. ბოლოს და ბოლოს, თუ მართლა მასე გიჭირს, ორს კი არა, ოთხ კილო გადარჩეულ სიმინდს გამოგიგზავნი ამ საღამოს ჩემი ბიჭის ხელით, ინდაურებს კი ვერ დავამწყვდევ შენი გულობიზა.

— მასე თუა საქმე, ჩემო პასიკო, მეორეხელ, როგორც კი ჩამოვლენ შენი ინდაურები ჩემს ეზოში, დევიჭერ, დავკლავ, მივირთმევ და შენ, ჩემი გოგოს ხელით, სამის მაგივრად, ინდაურის ექვს კვერცხს გამოგიგზავნი!

თამაზ ხინთიბიძე

ნახ. ზ. ფორჩხიძისა

— უკანასკნელად გეკითხებით, მატანთ თუ არა თქვენს ვაჟს?!

ეს რა დაგჩემდა?!

ეს რა დაგჩემდა. ცუდსაც უცინი,
რამ გაგინელა გულში ხანძარი?
გახდი ფრთხილი და გახდი გულცივი,
რაც თავმჯდომარის სკამზე დაბრძანდი.

ველარ დაგიძრავს აზრი ახალი,
ვერ დაგიწყია საქმე საგმირო.
„ვაჰ, თუ მოჰყვესო აყალმაყალი
და უცებ სკამი დამაკარგვინოს?!“

რა ხარ, თუ არ გრძნობ საქმის იარებს,
დაგძრავს, წაგილებს მაშინ ნიავიც.
სკამი სჭირდებათ ადამიანებს
და არა სკამებს — ადამიანი.

ვ. გორგანელი

ეს გაუმარჯოს

თამადამ უზარმაზარი ყანწი ჭეკვით გადაიხვია მაჯაზე.

— ამ პატარა სასმისით ჩვენი ბებიების და ბაბუების, მათი ბებიებისა და ბაბუების, მათი კიდევ და... მოულედ, ვინც არ დალევს, მას თავიანი წინაპრები არ უყვარები, ის მათ ჭაღარას, თოვლით დფარულ ჭაღარას, პატიას არა სცემს და ის, საერთოდ, კაცი არ არის!

ბმაფთრთოლებულმა თამადამ ულელსობჭერნილი აჩუყებული ბუღი ღვინის უზარმაზარი ულუპბეში დაიბრუნა საგულეს.

— თუ გინდა, ბატონო, რომ ამაო მოგვაწიო, დაგვალევინე ეგ ყანწი, თუ არა და, ღვინო რა პატიოსანეთის ნაზოთია!..

— რათ? არ დავლევთო?! ამან შეგაშინაო?! თქვენც უნდა თქვათ, ვიყაკაცები ვართო?! — იღრიალა თამადამ.

— როდის იყო, რომ ვიყაკაცობას სმით ზომავდნენ...

— არ ვიცი მერე ვინც არა სვამს, დაგოვის სუფრას! ჩვენ კ-ლალაბარაყოდ კი არა ვარი მოსუელ! — იღრიალა თამადამ.

— თუ მაგი, კარგი, ბატონო, დაგაყოვნეთ!..

— ფეხი არავინ მოიცალოს! ბოიკეთ მეორე ჭიხვიც! გაავსეთ! ბახე! ამან შეგაშინაო?! ამან?!.. ფუ!... ორივეს უურში ჩავიხსნამ! — იღრიალა თამადამ და... მარილაც ჩაისხა დიდ უურში...

სუფრა ტუსაბარა მდელოზე გაეშალათ მხეცებს. თამადამდა ვირი.

ზურაბ ყორღანაშვილი

ხ ა ღ ხ ი ნ ი. გაგეგიდო სასამართლო დარბაზში გაჩქარბერების საქმე ინარეოდა. სამარსეტერი სიტეგე მაგნაატოფონის ხმამ დაარეოვა. სასამართლო ისმენდა ქმრის მიერ ძალაში წარმოთქმულ ღალატის მონოლოგს, რომელიც ცოლმა დარეულად ჩაიერა.

— მარესია, მიფი, ეგნაკვალე! არ მიღალატ ასე, ბოლ.. ძლიერ არ ამოიგუნანქე?!

— ეუაქსო! — გაიძახა დარბაზში.

— ამ მარწყვივით გოგოს ეს გალახსირეგული ეკეთებოდა?! წარდა ანადეაზრდობა! ოქვა ჩემს ადეერეთ ბოდიშმა. მანდილისაგნა და ზიზღით გადმიხედა. სიფეფრმა გაჭეოდადან ფეზიმიბეფრა, მეფრა ოიკის ქალიშვილზე გადაიტანანა და ფეაინეგა ანალეკეუნდა. სიმაფრი სირცხეილისგან ფაცაჩოსავით გაწეოთეფეუოყო. გიფეი:ორეუნეი, საბრალო ცოლი, ეეეეფლოდ იწვოდა.

მე ეიეიეთი ეიდავეიხარბარე

— მეიშალა ეს უპაკარონო! — თქვა ვიღაცამ.

— სამშიმა, მიმორდეთ! — წარმოთქვა მეორემ.

— დალეწოს! აკაუორიბა, ვინ დაადაკეს ამხეოა მეტტეკეს?! — დაკვიარგვნა ზეაამეგ. მოსამართლეე, მოსალოდნელი ეურზაერის ოადიან აციოეფნის მიზზინი, მაქარეეთ დაბკგა.

— დაწეანარდეთ, ნუ ეეღლავთ! მოსმენეთ სასამართლოს, დიდი სანია იეეონთ მარეესიას?

— ერთი თვის წინ ეანაე კიარეედაგ. — მიეეეგ მე.

— ეეუარე შენ? არე უარეოფს. ან კი რიგორ უნდა უარეოს, ორივე ფეეთიაა გაამეეფ..

მ ო ს ა მ ა რ თ ლ ე ე: მოსმენეთ სასამართლოს, სად და რა ეეთარეაში ეკიეანინთ აღნამეფეთა პირიფენა!

— ეს მიხდა ერთი თვის წინ, როდესაც კიალეოდიდეში ვიიეეეეფედი.

— ეს დღე დაიწეკა, როდესაც მარტო გაგიმეეთ — იკეეეა ცოლმა.

— რეკეოკეეეი შეეწეკეტეთ! — თქვა მოსამართლეეს.

— დანაგრძე, ფიან-ეეუანო! — გაიძმა ეეაანა რიგეეიდან.

— მე და ჩემი ჩეეიმარი მაღეეი კეირა ფღეეს სანაატორეეშიდან სასეირნოდ გამოეეფდით.

ეეეეე მეფეომ მაღეეს ცოლს ფერი ეკეკალ. ოფეეეა, მაღეეაც გაგიის საეეეეეი

ხაღეი მე ზიზღით მიეეეეეეს, ენა მეტმეეა.

— საკმეეეე გადადეით! — მაფრთხილეეს მოსამართლეე.

— აკი გიოვეეეი, მე და მაღეეა...

— ოო, მაღეეა, მაღეეა! მოეთრეეეი საღეეეთ! — ოფეეეს მაღეეს ცოლმა.

— ნუ ცმარეთ! დაწეკანარდეთ, ქალაატანო! თქვენ კი ეანაკრეთეთ.

— ეოდა, ეოფეეიიეეეთ ნეკეეეეეეა... ეეეეეე

ანკეტა... ანკეტა...

ო, დიდი რამ არის ანკეტა! კაცობრიობას ამაზე უკეთესი არაფერი გამოუგონებია. ჩვენში ანკეტების საქმე სათანადო დონეზეა, მაგრამ მიღწეულით არ უნდა დავკმაყოფილდეთ, წარმატებებმა თავბრუ არ უნდა დაგვახვიოს, უნდა ვეცადოთ, გავაუმჯობესოთ ანკეტების რაოდენობა და ცნობათგამტარიანობა. მაგალითად, განა საკმარისია, რომ, ვთქვათ, სასტუმროს ანკეტიდან ჩვენ მხოლოდ 6-7 ცნობას ვღებულობთ, როცა შეგვიძლია მდგმურზე უფრო სრული წარმოდგენა შევიქმნათ?! რა საქმე აქვს მგზავრს, დაჯდეს და ერთი დღე მაინც შესწიროს ამ კეთილშობილურ საქმეს! აქვე გთავაზობთ სასტუმროს ანკეტის ახალ პროექტს. როგორც პირველი ცდა, იგი სრულყოფილი და ამომწურავი ვერ იქნება, მაგრამ ავტორი სიამოვნებით მიიღებს მკითხველთა პირუთვნელ წინადადებებს.

ა ი ჩ ვ ე ნ ი ა ნ კ ე ტ ა ც:

1. გვარი, სახელი, მამის სახელი; 2. სქესი; 3. დაბადების წელი, თვე, საათი; 4. დაბადების ადგილი (სავალდებულოა სამშობიარო სახლის მითითება იქ დაბადებულთათვის); 5. სიმაღლე (სანტიმეტრებში); 6. წონა (კილოგრამებში); 7. ოჯახური მდგომარეობა; 8. მეუღლის დამოკიდებულება კარის მეზობლებთან; 9. გაქვთ თუ არა საერთო სათავსოები მეზობლებთან? 10. მისამართი (ბინის, სამსახურის); 11. თანამდებობა (სახლში. სამსახურში); 12. ჩამოსვლის მიზეზი, მიზანი და მოსალოდნელი შედეგი; 13. რამდენი ხნით აპირებთ დარჩენას სასტუმროში? 14. მერე რას აპირებთ? 15. აქამდე რატომ არ ჩამოხვედით? 16. გაეცანით თუ არა სასტუმროს შინაგანაწესს? 17. გყავთ თუ არა ჩვენი ქალაქის სხვა სასტუმროებში ნაცნობები და რამდენ ხანს რჩებიან იქ ისინი? (მიუთითეთ ვინაობა და სქესი); 18. იცით თუ არა ხვრინვა ღამით? 19. დღისით? 20. გადატანილი გაქვთ თუ არა წითელა, ყბაყურა და ყივანა ხველა? 21. დილას ხშირად მარცხენა ფეხზე დგებით, თუ მარჯვენაზე?

მკითხველი, რა თქმა უნდა, შეამჩნევდა, რამდენი სარგებლობის მოტანა შეუძლია ასეთ ანკეტებს. ავიღოთ, მაგალითად, მდგმურის წონა. ეს ჩვენ უბრალო ცნობისმოყვარეობისათვის როდი გვაინტერესებს. ჩვენ გვეცოდინება. ვთქვათ, პირველ კვარტალში სასტუმროში რამდენი ტონა ქალი გვყავდა და რამდენი ტონა კაცი. მერე, შეგვიძლია ვიკისროთ ვალდებულება, რომ შემდეგ კვარტალში 15 ტონით გავზრდით მათს წონას. განა არ არის საინტერესო, ვთქვათ. იანვარში რამდენი კაცი ხვრინავდა ჩვენს სასტუმროში და რამდენი ქალი? ბოლოს შევაჯამებთ იანვრის კაცხვრინვას და შევუდარებთ მას სხვა თვეების მონაცემებს. ერთი სიტყვით, პერსპექტივა ჩინებულია!

სასტუმროს ანკეტის მაგალითზე თქვენ შეგიძლიათ დარწმუნდეთ, რომ კარგი იქნება ასეთივე ანკეტების შემოღება საპარიკმახეროებში, აბანოებში და სხვაგან.

ანკეტების სრულყოფისთვის კვლავ დაძაბული მუშაობაა საჭირო და ჩვენ გვწამს, რომ მომავალ საუკუნეს ამ მხრივ უფრო ჩამოყალიბებული შევხვდებით.

აკადემიკოსი კავკასიოლოგიაში

გავშვებო, წაუკითხეთ უფროსებს!

ტიტე და იპოლიტე

— ჰეი, ბიჭო! ბიჭო ტიტე!..
— რას მიბრძანებ, იპოლიტე?!
— როგორ იყო, ამას წინათ,
მაღაზია რომ გაღლიტე?!

— ჩუმად იყავ, ნუ ღრიალებ,
რაებს როშავ, შე თაღლითო?!
საწყობიდან სასუსნავი
შენ არ ზიდე თითო-თითოდ?!

— აბა, როდის გინდა ვკითხოთ
მაღაზიის გამგე ჯიბოს?
— ოჰო! შენც რა კაცი ნახე,
თითქოს მას არ ჩაეჯიბოს.

— რაო, რაო? ჩვენს გამგეზე
როგორ ამბობ, ბიჭო, ამას,
კაცი რევიზიის შემდეგ
ეძახოდა უფროს მამას.

— მამა არის, აბა, უფროსს
თუ შეჰკადრებ სხვა რამ სახელს?
— რომ მოხსნიან, მერე მამას
მამინაცვალს დაუძახებს.

— უფროსების სალანძღავად
მოგიბრუნდა პირში ენა?
მე გასწავლი, როგორ უნდა
მოამაგე გამგის კბენა! —

ეს უთხრა და თავში დასცხო:
„ესეც შენა, ესეც შენა!“

მოჩხუბრების შერიგება
ისევ გამგემ დააჩქარა.

ნახ. ჯ. ლოლუასი

— ქალიშვილო, საიდანღაც მეცნობით!
— გამოსაფხიზლებელში ვმუშაობ.

ერთი იქით ააყვირა,
ერთი აქეთ ააჩხავლა.

შეაჩვენა, გამოლანძღა,
რა ცეცხლში არ გაატარა,
და მერე კი იმპორტული
საქონელი გაატანა...

ცელქები

შეხეთ ცელქებს, როგორ ჩუმად
მიჰპარვიან დახლის თაროს,
თან ჭამენ და თან მღერიან
„დიმტიტარო-დამტიტაროს“.

— ამოუსვათ, ამოვტვლიპოთ
მაღაზიის ქონებაო,
ვინც ერთმანეთს უღალატოს,
არ ეღირსოს ცხონებაო.

მერე, როცა გაიგებენ,
დაგვაყრიან კითხვებსაო,
ზოგი თაგვებს დავაბრალოთ,
ზოგი კიდევ — ვირთხებსაო.

ფულსაც ყველას ნუ ჩავაყრით,
ნუ დავხარჯავთ ზედმეტსაო,
საქმე სწრაფად გავუგზავნოთ
ჩვენ საყვარელ ექსპერტსაო.

ვ. კახელიშვილი
გ. რაჰველიშვილი

მგელი

კრებას დათვი თავმჯდომარეობდა. იხილავდნენ მგლის საჩივარს.

— მეტის მოთმენა აღარ შემიძლია, ბატონო მხეცებო, მეზობელი სოფლის ფერმის გამგე აშკარად სარგებლობს ჩემი სახელით და უღვთოდ ანადგურებს ცხვარს. მაღალმა ღმერთმა იცოდეს, რომ ამ საქმეში დამნაშავე არა ვარ, მაგრამ ჩემი სიმართლის დამტკიცება გამიჭირდება, რადგან მე მგელი მქვია. გთხოვთ მხედველობაში მიიღოთ ჩემი უკიდურესი მდგომარეობა, გადამარქვათ სახელი და მგელი დაარქვათ იმ ფერმის გამგეს. — დაამთავრა თავისი გამოსვლა მგელმა.

ტყეში სიჩუმე ჩამოვარდა. კრების მონაწილენი ჩუმ-ჩუმად შეჰყურებდნენ ერთმანეთს და დუმდნენ.

— მდაა!.. — ჩაიბურდღუნა დათვმა და მხეცებს გადახედა: — რას იტყვით, ქალბატონო მელავ?!

— აბა, რა ვთქვა, ბატონო მხეცებო, მგელი რომ მამა აბრამის ბატკანი არ არის, ეს ყველამ ვიცით...

მგელმა შეუბღვირა.

— მაცალე, ბატონო მგელო! — გადაბრუნდა მელა, — ერთი ან ორი ცხვარი რა წამოსაყვედრებელია. მტაცებლები იმიტომ გვქვია, რომ ყველა ცოტ-ცოტას ვიტაცებთ: ზოგი — ქათამს, ზოგი — თაფლს, ზოგიც — ცხვარს. — ბრწყინვალედ დაიცვა თავისი გვარის ტრადიციები მელამ, მაგრამ არც დათვს ეძინა:

— შემდეგ, ქალბატონო, შემდეგ?!

„ღმერთო, რა ვთქვა ისეთი, არც მგელმა დამგლიჯოს და არც დათვმა დამბდღვნას?!" ერთ წამს ჩაფიქრდა მელა და ხმამაღლა ეს განაცხადა: — ჩემის აზრით, მგლებმა პირობა უნდა შეკრან და ერთიანი ძალით დაესხან ფერმას, მაინც მაგათ ბრალდებათ ყველაფერი.

— სადღაა ამდენი მგელი, ერთადერთი-ღა შემორჩა ჩვენს ტყეს და, ხომ ხედავთ, ისიც სახელის გადარქმევას ფიქრობს. — გულისტკივილით თქვა ტახმა.

— მაშინ ფერმის გამგე შევჭამოთ! — დაიძახა ტურამ.

— შენ ადამიანებს კარგად არ იცნობ, კაცის შეჭმას არ გვაპატიებენ. ტყეს ცეცხლს წაუკიდებენ და მთლიანად ამოგვბუგავენ შიგ! — არ გავიდა ტურას წინადადება.

—მგელი უნდა შევჭამოთ, მგელი! ეს არის ერთადერთი გამოსავალი! — დაიძახა კურდღელმა. — აღარც ერთი მგელი რომ აღარ იქნება ტყეში, მაშინ ვიღას დააბრალებს ის ფერმის გამგე პირუტყვის განადგურებას?

— შემიბრალეთ, მეგობრებო! ერთი-ორი ცხვარი თუ მომიტაცნია ოდესმე, ეს რა თითზე დასახვევია, მგელი ვარ, ბოლოს და ბოლოს. მე რომ შემჭამოთ, ვინ გაზრდის ჩემს ლეკვს?!

— უშენოდ დაიზრდებიან ტყეში ლეკვები მგლისანი! — შესძახა დათვმა.

მგელი არავინ შეიცოდა, რადგან ყველას მხეცის გული ჰქონდა, მგელი შეჭამეს. მის ლეკვს კი ფერმის გამგე ზრდის.

გიგა მახვილაძე

როგორ გავიტანე ფერმის გამგე

დამიძახა ფერმის გამგემ და ყურში რაღაცა მიჩურჩულა.

— ე-ჰეეე! — ვთქვი გუნებაში, — აქ ხუმრობა აღარ არის. როგორც ჩანს, ბედი კარზე მომადგა და მეც ვხვდები პატარა სიაში.

მეორე დღეს ფერმის საწყობი ჩავიბარე და გამგის სიტყვები ანდერძივით მომხვდა გულზე: მაშ, რის კაცები ვართ, ერთმანეთი თუ არ გავიტანეთ! მე შემიძლია დაგნიშნო საწყობის გამგედ? შემიძლია. მაშასადამე, უნდა გაგიტანო. შენ შეგიძლია, მე კვერცხი მაჭამო? შეგიძლია. მაშასადამე, დღეში ორასი კვერცხი უნდა მაჭამო!

— სხვანაირად მღერის ჩვენი ფერმის გამგე და, მაგან რომ დღეში ორასი კვერცხი გადაყლაპოს, ხომ ახადა ფერმას ჭერი! — გავიფიქრე გუნებაში.

ვიპარავ დღეში ორას კვერცხს, ვყიდი და ფული ფერმის გამგეს მიაქვს. რაღას იმღერებს?! იმას კი არა, მგონი მე თვითონ დამამღერებენ მალე. რევიზორი მოვა და ხარჯი უნდა, რადგან გამგის წილ კვერცხს არავინ მაპატიებს. დავიწყე მეც დღეში ორასი კვერცხის ჭამა. ვინ მოიგონა, რომ კვერცხი კაცს ხმას აძლევს? პირიქით, სულ წამერთვა ხმა. სიმღერა კი არა, ლაპარაკიც დამავიწყდა, დანა პირს არ მიხსნის. ოცდათვრამეტი წლის წინათ ჯვარდაწერილი ჩემი ცოლი რომ გამოჩნდება, ისიც რევიზორი მგონია და მაშინვე გოჭს მივდევ დასაკლავად.

დავრბივართ მე და ჩემი გოჭი. არ ვიცი, რამდენს ვერ მატულობს დღეში ჩემი გოჭი. მე კი თორმეტი კილოგრამი დავიკელი. მეზობლები მასხარად მიგდებენ, რაც ფერმის საწყობში მოკალათდი, საგრძნობლად მოიკეთეო.

მადა ჭამაში მოდისო, რომ ამბობენ, ჩემი აზრით, ტყუილი ყოფილა. ფერმის გამგე კი ეთანხმება ამ ნათქვამს. მოვიდა და ახლა მეორე ყურში მიჩურჩულებს: მარტო ჩვენ ხომ არა ვართ ამ ქვეყანაზე? ღმერთმა უფროს-უმცროსი იმიტომ გააჩინა, რომ უფროსი უფროსია და უმცროსი — უმცროსი. დღეში ორასი კვერცხი კიდევ მინდა, რადგან, საითაც გაიხედავ, ყველგან დაღებული პირი დაგიხვდება!

კიდევ კარგი, მესამე ყური არა მაქვს, დღეში ორასი ახალი კვერცხი კიდევ მიგორავს ბნელეთისკენ. ფერმის დედლები შემომყურებენ და თითქოს მეუბნებიან: რას გვერჩი, ნიკალა! როდის იყო, რომ ჩვენ ლაყე კვერცხს ვდებდითო. მამლები აფხორილები დადიან და, ალბათ, გუნებაში ფიქრობენ: რას გვართმევ კაცობას, შე კაი კაცო, სადღა გამოვვეყოფა თავიო.

ფერმის გამგე კი წამდაუწუმ გაიძახის: მაშ, რის კაცები ვართ, ერთმანეთი თუ არ გავიტანეთო.

გატანა აგრე არ უნდა-მეთქი და მოვუსვი რაიკომისკენ. დავეჯახე ფერმის გამგეს და გავიტანე. მოხსნეს ფერმის გამგე და ახლაც ეძებენ ახალ კაცს იმის ადგილზე დასანიშნად.

ახლაც-მეთქი, იმიტომ ვამბობ, რომ მას შემდეგ უკვე ექვსი თვე გავიდა. ვის არ უთხრეს, ფერმის გამგედ წადიო, მაგრამ ყველამ უარი თქვა. ჯერ ნიკალა მოშორდეს იქიდან და მერე წავალთო. ნიკალა კვერცხს იპარავდა და პლატონა მოხსნეს, სად არის სამართალიო.

რა ვქნა? ვიყვირო, რომ მე, ნიკალა, პატიოსანი კაცი ვარ? იყვირე, რამდენიც გინდა, ვინ დაგიჯერებს!

ვზივარ ახლა ფერმის საწყობში და ყველაფრის გამგე მე ვარ. ხან ერთს ეძახის ჩვენი კოლმეურნეობის თავმჯდომარე და ეუბნება, ფერმის გამგედ დადექიო, ხან — მეორეს. მაგრამ ყველა ერთსა და იმავეს იმეორებს: ჯერ ნიკალა გაიტანეთ იქიდან და მერე დავდგებითო.

თავმჯდომარე კი იცინის და ყველას ასე ეუბნება: ჩელიაბინსკში ახალი მარკის ტრაქტორს უშვებენ, ყველა ტრაქტორზე ღონიერს, სანამ იმას არ მივიღებ, ნიკალას ვერაფრით ვერ გავიტანთ საწყობიდანო.

მე კი ფერმის გამგე გავიტანე.

გ. ივანიშვილი

ამ უნიჩოდ დახატულ აპიშაზე რუსულად ტიტკმის კველაპერი რიგზეა: „Министерство Культуры СССР, Советский цирк, Грузинский цирк, Внешторгиздат. заказ № 671 Р., ТЛ-В. з. 6228, ат 64". აპიშის კარტული ცარცერა — კართველის წირკი — რუსული Грузинский цирк-ის ბრცკინვალე ბცკარედია. საერტოდ, კარგადაა კარტულად ნატარგმანები.

კარტველის კრაკადილს ერტი მალენკი ზამეტკა აკვს მტარგმნელტან: აპიშის შემდგომ გამოცემაში მწირეოდენი შესცორება შეიტანოს და კარტველის წირკის ნაწვლად დაცეროს კარტველის წირკი, რაწ მნიშვნელოვნად გაზრდის აპიშის მხატვრულ-ესტეტიკურ გირებულებას.

მთავარი რედაქტორი ნოდარ დუმბაძე. სარედაქციო კოლეგია: ზ. გოლქვაძე (პ/მგ მდივანი), ს. კლდიაშვილი, ნ. მალაზონია, გ. ნიშნიანიძე (მთავ. რედ. მოადგილე), ნ. შველიძე, ო. ჭელიძე. სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი".

თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 42. ტელ. 9-76-69, 3-10-78. Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Нианги". საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა. ხელმოწ. დასაბ. 16/VIII 1967 წ. ქაღ. ზომა 70 × 108 1/8 0,5 ნაბ. ფურც. 1,37. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 0,5, პირობით ფორმათა რაოდ. 1. საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პ/კომბინატი. თბილისი, ლენინის ქ. № 14. შეკვ. № 3077. უე 02186 ტირაჟი 71.000.

561
29. VIII

1967

ეროვნული ბიბლიოთეკა

ИНДЕКС 76817



ამერიკელი კანონმდებლები ზანგების მასობრივი მღელვარების მიზეზების — უმუშევრობისა და სიღატაკის ლიკვიდაციის მაგივრად, მათ მიმართ იყენებენ ჯარის ნაწილებსა და პოლიციას.

უმუშევრობის ლიკვიდაცია ამერიკულად

ნახ. ვ. ლომიძისა

КОНТРОЛЬНЫЙ ЭКЗЕМПЛЯР